1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი

ჯაფაგდი, ტურფა ქალწ

ა,
ოდესაც, ივერი შარავნ,
და შენ, ქართველო, სწავლითა
ხაშმაკადო, გაანათეო!"

№ 11 საკავშირო ულკა ცენტრალური კომიტეტის ყურნალი მეცარეულოვანთათვის

ნოემბერი 1955

გიორგი ქაჭახიძე

ნახატი ვ. ლალიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა, ოქტომბერო!

რა დროშები ჩაატარეს,
რა დროშები მოაქვთ კიდევ!
მეც ალამი პაწაწინა
აივანზე გამოვკიდე.
და გავძახე ქუჩებს მკვირცხლად:
გამარჯობა, ოქტომბერო!
ამ ზეიმში არ იქნება
შენს გმირებზე არ ვიმღერო.
აქ ლენინი დაუხატავთ,
ცოცხალივით მოჩანს ხალხში.
ოქტომბერში ჩემი პაპა
უკვდავ ლენინს ედგა მხარში;
საყვარელი მამაჩემი
სულ პატარა იყო მაშინ,
როცა დიდი გაიზარდა,
ამოუდგა სტალინს მხარში.
მეც ლენინის და სტალინის
დროშა მიყვარს ალისფერი,
ერთი არის მათი საქმე
და ეს დიდი ოქტომბერი.

თ. ბოგოლაძე

ნახატები რ. ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებია და გია



ერთ დღეს შინა თქვეს, რომ ბებიას იუბილე უნდა გადაუხადონ სამსახურშიო.

თვალები დაეკეტა გაკვირვებულმა გიამ, როგორ თუ ბებიას იუბილე! იუბილეს ხომ დიდსა და გამოჩენილ ადამიანებს უხდიან: მწერლებს, მსახიობებს, მხატვრებს, სახელმწიფო მოღვაწეებს!.. ბებია კი მხოლოდ უბრალო მემანქანეა. მთელი დღე ზის თავისთვის, საბეჭდ მანქანას უკაკუნებს და უკაკუნებს.

ამბობენ, ბებიას ჯერ კიდევ გიას მამის დაბადებამდე დაუწყია მუშაობა... გიას მამა დაბადებულა, გაზრდილა, დაეჟკაცებულა, აგერ გიაც იზრდება, ეჟკაცდება, ბებია კი საბეჭდ მანქანას უკაკუნებს და უკაკუნებს.

გია ცელქი და მოუსვენარია, ერთ ადგილზე არ ჩერდება, სულ ციბრუტივით ტრიალებს. თავისი სიანცით და გაუგონრობით ბებიას ხშირად აჯავრებს ხოლმე.

არც ბებიას იუბილესი სჯერა გიას; ამიტომ ეზოში ბურთი რომ გავარდა, ბიჭები ყიჟინით დაესივნენ და, აბა, გიას შინ რა გააჩერებდა!

ეზოში მოთამაშე ყველა ბიჭის ყიჟინს გიას ხმა აპარებს.

მოსაღამოვდა.

— გია, ბებოს იუბილეზე უნდა წავიდეთ, ამოდი! — უძახის და.

— რის იუბილე! — უპასუხებს გია და ბურთის თამაშს ვერ ელევა.

და აი, ეზოს მოადგა დიდი პრიალა ლურჯი მანქანა. ბავშვებმა ბურთის თამაში მიატოვეს და მანქანას შემოეხვივნენ:

— „პობედაა“! — იძახის ერთი.

— ვერ სცნობ, „ზიმია“.

— „ზიმია“, „ზიმი“! — ჟრიამულობენ ბიჭები. ყველაზე მეტად კი გია ყიჟინებს. უჰ, როგორ ენატრება ჩაჯდეს ამ მანქანაში, ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით.

ვიღაც უცნობი კაცი გადმოვიდა მანქანიდან და სწორედ იმ კიბეზე ავიდა, რომელ კიბეზედაც არბის და ჩამორბის გია.

ცოტა ხნის შემდეგ გიასთან მისი უფროსი და მოიკრა.

— წავიდეთ, ჩქარა ჩაიცვი, გვიცდიან!

გიას ახლა ბებიას იუბილე ისე არ ახარებდა, როგორც მანქანაში ჩაჯდომა. როგორ ხელად აუხდა ოცნება! რა თავმომწონედ ჩაჯდება! ნეტავ რას იტყვიან ბიჭები, როგორი თვალით შეხედავენ?

გია სწრაფად გამოეწყო, ყველაზე უწინ გაჩნდა ეზოში, მანქანაში შევარდა და ღია ფანჯრიდან თავი გადმოყო.

ბიჭები მიეხვივნენ.

— მიდიხარ?

ეროვ. ბიბ. საქ. სსრ

— ჰო, ვერა ხედავთ! — ამაყად მიუგო გიამ და მედიდურად გადაავლო თვალი.

მანქანაში ჩასხდნენ: ბებია, გიას დედამამა და დაიკო. ის უცნობი ძია კი შოფერთან დაჯდა და მანქანაც დაიძრა.

საღამოს რვა საათი იყო. უამრავ ხალხს მოეყარა თავი პატარა კლუბში. ბებიას გამოჩენა და ტაშის ატეხა ერთი იყო.

გიამ აქეთ-იქით მიიხედა, ნეტავ ვის უკრავენ ასე ტაშსო. ბებიას შეხედა, ისიც თავის დაკვრით ესალმებოდა ხალხს.

ერთმა კუდრაჯა გრგონამ მიირბინა მასთან და თაიგული გადასცა. ბებია დაიხარა და შუბლზე აკოცა იმ გოგონას. ბებია სცენაზე აიყვანეს და იქ მყოფმა ძიებმა და დეიდებმა შუაში ჩაიყენეს.

ნუთუ ყველას ასე ძალიან უყვარს გიას ბებია? ყველა პატივს სცემს, ყველას უხარია, ყველა ღელავს. ბებია კი ყველაზე მეტად არის აღელვებული.

ეს რამხელა თაიგული შემოაქვთ!

ბებია მართლა ყველას ჰყვარებია, ყველას.

აგერ ერთი ხანში შესული კაცი ბებიას მიმართავს:

— დიდება და დღეგრძელობა შენ, ჩვენო დედავ! დღეს შესრულდა ოცდათხუთმეტი წელი, რაც უმწიკვლოდ ემსახურები ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს. დღეს შენ, ჩვენი ქვეყნის უბრალო ადამიანს, გვინდა გითხრათ მადლობა შენი კარგი ადამიანობისათვის, შენი უანგარო სამსახურისათვის!

ეს თქვა, გადაეხვია ბებიას და გულში ჩაიკრა. ბებიას სიხარულის ცრემლი სცვოდა თვალებიდან და თვითონაც სიყვარულით იკრავდა გულში ყველას, ვინც კი იუბილე მიულოცა.

გიას ტოლი ბიჭიც გამოვიდა.

— ჩვენო ტკბილო ბებო, — მიმართა მან, — რამდენჯერ მოვსულვარ აქ, რამდენჯერ შეგხვედრივარ და ყოველთვის ისეთი სიყვარულით მიგვიღებ ხოლმე, როგორც თქვენს გიას... ჩვენი ბებოც ხარ! ჩემი ტოლების სახელით გილოცავთ იუბილეს და ამ ღირსშესანიშნავ დღეს პირობას გაძლევთ, რომ მუდამ კარგად ვისწავლით, არასოდეს არ გაწყენინებთ, ჩვენო ტკბილო ბებო.

გია თავდახრილი იჯდა და თავის ხელებს დასჩერებოდა.

გიას ტოლმა გოგო-ბიჭებმა ბებიას თაიგული მიართვეს.

— შენ კი როგორ აჯავრებ ხოლმე ჩვენს ბებოს, — ჩასჩურჩულა გიას დამ და ცრემლი მოიწმინდა, — ნახე, როგორ უყვარს ყველას. სხვებს უფრო მეტად უყვართ ჩვენი ბებო, ვიდრე შენ.

— მე უფრო მიყვარს, — ტუჩები აბურცა გიამ და პირდაპირ ბებიას შეხედა. ბებია გიას არ უყურებდა. ეწყინა გიას, გული დაწყდა, ბებია სხვა ბავშვებს კოცნიდა.

გია ზეზე წამოიჭრა. წამს სცენაზე გაჩნდა, ბებიასთან მიირბინა, მოეხვია და ალუღლუღდა:

— მეტს აღარ გაგაჯავრებ, ჩემო საყვარელო ბები!

ნ. ხარდალიშვილი

ნახატები ჯ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელგანთქმული მოგზაური

ახედე დედამიწის რუკას:

როგორ გგონია, ვინ შეადგინა ეს რუკა? ვინ აღმოაჩინა, სად არის ყინულოვანი ოკეანე, სად მდებარეობს ესა თუ ის კუნძული, როგორ უნდა წახვიდე ამა თუ იმ ქვეყანაში? ეს ყველაფერი იმ ადამიანებმა შეადგინეს, რომელთაც მოგზაურები ეწოდებათ: ისინი მოგზაურობდნენ უცხო, გამოუკვლევ ქვეყნებში, ყოველივეს თავისი თვალით ამოწმებდნენ და მერე წიგნებში სწერდნენ.

ერთი ასეთი დიდი მოგზაური გახლდათ რუსი მეცნიერი ნიკოლოზ მიხეილის-ძე პრჟევალსკი, რომელმაც გამოიკვლია ცენტრალური აზიის ბუნება, რუკაზე გადაიტანა და დაწვრილებით აღწერა.

პრჟევალსკის დროს ძალიან ძნელი იყო მოგზაურობა. იქ, სადაც ახლა მატარებლით რამდენიმე დღეში მიხვალ, ხოლო თვითმფრინავით რამდენიმე საათში, პრჟევალსკი და მისი ამხანაგები რამდენიმე კვირასა და თვეს ანდომებდნენ.

ვენ იცი, რომ უდაბნოში ცხელი ქვიშის მეტი არაფერია და წყალი მხოლოდ რამდენიმე დღის სავალზე შეგხვდება. თუ ქარი ამოვარდა, კიდევ უარესი,—ცხელ ქვიშას აყრის თავზე მგზავრს. ვერავითარი პირუტყვი, აქლემის გარდა, აქ მოგზაურობას ვერ იტანს, რადგან მხოლოდ აქლემს შეუძლია რამდენიმე დღე უმელ-უსმელი იყოს. პრჟევალსკის ექსპედიცია მოგზაურობდა აქლემებით და ცხენებით.

ბევრი გაჭირვება გამოიარეს მათ, მაგრამ ისე ერთსულოვნად მოქმედებდნენ, რომ ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიოდნენ.

ერთხელ გობის უდაბნოში ექსპედიცია კინალამ დაიღუპა უწყლოობის გამო. ბევრი იარეს ამ უდაბნოში დაღლილმა ადამიანებმა, ახრჩობდათ წყურვილი. თვითონ იკლებდნენ წყალს, რათა მწყურვალი ცხოველები სიკვდილს გადა-

ერჩინათ. კიდევ ცოტა ხანი და ადამიანებიც ვეღარ შესძლებდნენ სიარულს. მაგრამ აგერ გამოჩნდა ამბის გასაგებად გაგზავნილი კაცი, რომელიც მთელი ძალით მოაჭენებდა ცხენს. წყალი იპოვეს! ადამიანები გადარჩნენ!

ორთხელ პრჟევალსკიმ თავისი ორი ამხანაგი მთებში გაგზავნა, რომ იქაური ნადირი მოეკლათ და ჩამოეტანათ. აინტერესებდა, ამა თუ იმ ადგილებში რა ცხოველები და რა ფრინველები ბუდობდნენ, რა მცენარეები ხარობდნენ. ის მოკლული ნადირებისა და ფრინველებისგან ფიტულებს აკეთებდა და თავის სამშობლოში აგზავნიდა. ლენინგრადის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში რომ შეხვიდე, იქ ნახავ პრჟევალსკის გამოგზავნილ ფიტულებს.

ჰოდა, იმ ორი ამხანაგიდან ერთი დაბრუნდა; მეორე, ეგოროვი კი, უგზოუკვლოდ დაიკარგა. ძალიან შეწუხდნენ პრჟევალსკი და მისი ამხანაგები. ბევრი ეძებეს დაკარგული თანამგზავრი, მაგრამ ვერ ნახეს. ბოლოს დაღონებულები დაიძრნენ ადგილიდან. ერთი მთის ახლოს რომ გაიარეს, ნახეს, მათკენ ვიღაც მობობღავდა. ის ეგოროვი აღმოჩნდა. საბრალოს ბევრი ეხეტიალა ტყეღრეში, გზა ვერ გამოეგნო, ტანსაცმელი შემოხეოდა და დასისხლიანებულ ფეხებზე თავისი პერანგი ამოეკრა. შიმშილისაგან ძალა დაკარგოდა და ველარ ლაპარაკობდა. ცოტა კიდევ რომ დაგვიანებოდათ, ერთმანეთს აცილდებოდნენ და ეგოროვი დაიღუპებოდა.



ამ ადგილებში, სადაც პრჟევალსკი მოგზაურობდა, მშვიდობიან მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა ყაჩაღთა ბრბოები. ისინი ქარავნებს ძარცვავდნენ და ამით ირჩენდნენ თავს. ისე რომ შიშით ველარავის გაევლო გზაზე. ბევრი ქარავანი გზაზე პრჟევალსკის ექსპედიციას მიეკედლებოდა ხოლმე.

ერთ საღამოს პრჟევალსკის ბანაკს უცხოები შემოეხვივნენ. ისინი თითქოს მშვიდად საუბრობდნენ, მაგრამ პრჟევალსკიმ შეამჩნია, რომ გაფაციცებით ათვალიერებდნენ მათ იარაღს.

— მზად იყავით,— წასჩურჩულა პრჟევალსკიმ თავისიანებს,— ესენი ჩვენზე თავდასხმას აპირებენ.

პრჟევალსკიმ ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ კარავთან ჩოჩქოლი შეიქნა. სეტყვასავით წამოვიდა შურდულით ნასროლი ქვები, მახლობელ კლდიდან გამოჩნდა ჩასაფრებულთა მეორე ჯგუფი. პრჟევალსკიმ ბრძანება გასცა დაეწყოთ სროლა. შეშინებული ტიბეტელები უცბად აირივნენ და უკანმოუხედავად მოქუსლეს.

ამდენი განსაცდელის მიუხედავად, მოგზაურებმა ძალიან ბევრი საინტერესო რამ ნახეს და დიდი წვლილი შეიტანეს გეოგრაფიის მეცნიერებაში.

ერთ ზაფხულს პრჟევალსკიმ და მისმა თანამგზავრებმა შესანიშნავი სანახაობა, იაპონური წეროების ცეკვა ნახეს.

ზაფხულობით ეს ფრინველები, დილაადრიან ან დაბინდებისას, წინასწარ ამორჩეულ ადგილას მოფრინდებიან, შეჰქნიან ერთ ყატყატს, მერე წრეს შეჰკრავენ და ცეკვა-თამაშს გამართავენ. ერთი ან ორი წერო შუა ადგილას გამოვა; ჯერ ხტუნვას დაიწყებენ, მერე თავს კეკლუცად დააქნევენ, ჩაცუცქდებიან, ისევ ახტებიან, ფრთებს შეაფართხუნებენ და კვლავ თავს დაბლა დაუკრავენ ირგვლივ სეირის საცქერად შემორტყმულ წეროებს—მაყურებლებს. ესენი რომ დაიღლებიან, ახლა სხვები გამოვლენ საცეკვაოდ და დანარჩენები უცქერიან. ცეკვა-თამაში ორ საათამდე გრძელდება; ბოლოს დაღლილი მოცეკვავეები ისევ ხმამაღლა აყატყატდებიან და ღამის სათევად გაფრინდებიან. ამ წეროებმა თურმე საოცარი სიყვარული იციან ერთმანეთისა. ერთმა მოგზაურმა დედალი წერო მოჰკლა. მამალი წერო დიდხანს მისდევდა მონადირეს, რომელსაც მისი მოკლული მეგობარი მიჰქონდა.

აი, ასეთი მრავალი საინტერესო ამბავი აღწერეს მოგზაურებმა.

ბრჟევალსკის, უდაბნოების გარდა, მაღალმთიანი საძოვრებიც ხვდებოდა, სადაც ადამიანს არასოდეს დაედგა ფე-

ხი. ამიტომ იქ საოცრად ბევრი ცხოველი და ფრინველი იყრიდა თავს. აქ გროვდებოდნენ გარეული ხარები, ცხვრები, თხები, ანტილოპები, არწივები. შინაური ცხენის წინაპარი — გარეული ცხენიც პირველმა პრჟევალსკიმ აღმოაჩინა. ამ ცხენს მეცნიერებში ახლა „პრჟევალსკის ცხენის“ სახელით იცნობენ. ნადირები სულ არ უფრთხოდნენ მგზავრებს. გარეული ცხენების ერთი ჯოგი კარგა ხანს უკან მისდევდა კიდეც ქარავანს, ანტილოპები ცხვირწინ გადაუქროლებდნენ ხოლმე აქლემებს, ხოლო უზარმაზარი ხარები ეფეზეც კი არ წამომდგარან ქარავნის ჩავლისას, მხოლოდ ზანტად მიაბრუნებდნენ ხოლმე თავს მათკენ. როცა დაბანაკებული ქარავანი სადილის მზადებას შეუდგებოდა, არწივები ახლოს ჩამოუსხდებოდნენ და მზარეულებს ხელში შეჰყურებდნენ, რათა მოხერხებული დრო ეშოვათ და ნასახმობად გაკიდებული ხორცი მოეტაცათ.

ბიეტისაკენ მიმავალი პრჟევალსკი მთებში შეხვდა საოცარ გამოქვაბულებს: ფრიალო კლდეებში რამდენიმე სართულად იყო გამოჭრილი უამრავი დარბაზი, შიგ იდგა ისეთი უზარმაზარი სალოცავი კერპები, რომ ზოგ მათგანს ფეხისგული ექვსიოდე მეტრის სიგრძისა ჰქონდა. ასეთივე უზარმაზარი კერპი სხვა გამოქვაბულშიც იდგა, მას თავი და ხელ-ფეხი მოოქროვილი ჰქონდა და სიბნელეში მზესავით ბრჭყვიალებდა.

პრჟევალსკიმ ოთხჯერ იმოგზაურა ცენტრალურ აზიაში. მისი სახელი მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა. სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფიულმა საზოგადოებებმა საპატიო წევრად აირჩიეს და ოქროს მედალიც მიაკუთვნეს.

გამოჩენილმა მოგზაურმა მეხუთეჯერაც დააპირა იქ გამგზავრება, მაგრამ გარს სამოცდათორმეტი შვილის ქანდაკება ეხვია. დანარჩენ გამოქვაბულებში თუჯის ვეებერთელა ზარები ეკიდა. კლდეში გამოკვეთილ ამ დარბაზებს ჩინელები „ათას გამოქვაბულს“ უწოდებდნენ.

მრავალმხრივ შეისწავლა პრჟევალსკიმ ადგილობრივი მოსახლეობა. მათი ადათები და ყოფა-ცხოვრება დაწვრილებით აღწერა დღიურებში. ახალ ექსპედიციაში გამგზავრებამდე თავს უყრიდა ამ მასალებს და წიგნებად გამოსცემდა ხოლმე.

გზაში ავად გახდა და 1888 წელს გარდაიცვალა. მისივე ანდერძის თანახმად პრჟევალსკი დაკრძალულია ისიყულის ტბის (შუა აზიაში) ლამაზ ნაპირზე, სადაც შესანიშნავი ძეგლი დგას. მისი ძეგლი თითქოს გზას უჩვენებს ყოველ გულად მოგზაურს, რომელიც კი მის დაწყებულ საქმეს განაგრძობს.

ჯ. იაშვილი

ნახატები ზ. ლექაკვასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედეას ლეკვი

თუ გინახავთ
დათვის ნეკი,—
იმ სიგრძეა
ჩემი ლეკვი.
ჯერ ოთახში, შემდეგ ბაღში
დადის, დადის
კუდაბზეკით.
ბუზს შეხედა, გაინაბა,
დამიხია ჩითის კაბა,
გულმოსულმა გადაყლაპა
მზა მურაბა
ერთი კილო!
რა ლეკვია,
რა ლეკვია,
ლეკვია თუ ცირკის სპილო?
კედლის მღებავს
შეუყეფავს,
კატას უკბენს, როცა ნებავს.
ახლა
დახრა
სკამის ფეხი,
არ მასვენებს ეს უკმეხი,
დაგაყარე თავზე მეხი!
და სულ ვდარდობ, ამ ავყიამ
იქნებ სჭამა დუთმა ნესვი,
იქნებ მამას დაუხია
გუშინ
დაწერილი
ლექსი.
ანდა კიდევ უკეთესი—
გადაყლაპა დიდი ნემსი.

ვერც სკოლაში დავისვენე,
შინ მოველ და
მეცა ელდა,
თურმე გზიკმა
დამიკბინა
ჩემი ფინა
პაწაწკინა,
ჩვენი ბაღის
იმ კუთხეში,
სადაც ცხოვრობს ლოკოკინა!
ვარ მთელი დღე მგლოვიარე,
ექიმები მოვიარე,
გამოვართვი აფთიაქარს
ეს მალამო თაფლისფერი.
ვუცვლი წამალს, ვაჭმევ შაქარს,
არ აკლია არაფერი...
ოღონდ სიცხე გამონელდეს
და ვუყიდი ცისფერ ლენტებს:
ერთი ყელზე გამოვაბა,
ერთი ფეხზე გამოვაბა,
ერთი ყურზე გამოვაბა,
ერთი კუდზე გამოვაბა,
ქვეშ დავუგო ჩემი კაბა,
გავახურო დიდი ტაფა,
მოვუდუღო ის მურაბა,
მას რომ უნდა!..
ისევ ჰქონდეს
დასახრავად სკამის ფეხი,
აღარ ვეტყვი არასოდეს:
«დაგაყარე თავზე მეხი».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი კაბა

ლიდა ქერა გოგონაა და ლურჯი ფერი ძალიან უხდება. ამიტომაც ლურჯი სარაფანი ყველაზე უფრო უყვარდა და ყოველდღე იცვამდა. დედას ხშირად უხდებოდა მისი გარეცხვა და ბოლოს სარაფანი სულ მთლად გამოუხუნდა.

დედას კარგი ლურჯი კაბა ჰქონდა, მხოლოდ დაუვიწროვდა. აი, სწორედ ეს კაბა აიღო დედამ და შვილს გადაუკეთა.

შესანიშნავი კაბა გამოვიდა. დედამ უთო დადგა გასახურებლად. ლიდა წარამარა აფურთხებდა მას, თითქოს ამით გახურებას დააჩქარებდა. უთო კი ბრაზიანივით შიშინებდა.

როგორც კი დაუთოება დამთავრდა, ლიდამ ხელი სტაცა კაბას და მყისვე გადაიცვა. მართალია, ჯერ კიდევ ცხელი იყო და ზურგს უწვავდა, მაგრამ მაინც არ მოეშვა.

— აბა, ახლა გაიხადე,—უთხრა დედამ.

— არა, მეცვას, რა იქნება!

— ხვალ, ლიდა! ხვალ კვირაა, ბებიასთან წავალთ და ჩაიცვამ, ახლა კი სარაფანი ჩაიცვი.

და აი, მეორე დილას ახალ კაბაში გამოწყობილი ლიდა ეზოში ჩავიდა. ახლა ტასო, ვასიკო და თინაც ნახავენ მის ახალ კაბას.

ბავშვები სილაში იჩიჩქნებოდნენ. ლიდა მივიდა მათთან და წინ დაუდგა. ყველაზე პატარამ, ტასომ უთხრა:

— მოდი, ლიდა, ნაზუქი გამოვაცხოთ!

— არ შემიძლია! კაბას უნდა გავუფრთხილდე.

— კაბას არაფერიც არ მოუვა,—უთხრა ტასომ,—სილა ხომ ზედ არ შერჩება, ჩამოიყრება.

„მართალი არის“, — გაიფიქრა ლიდამ, ყალიბი აიღო და ნაზუქის გამოცხობა დაიწყო.

უცებ იქვე მახლობლად გაისმა: ზუ... ზუ... ზუ...

მეეზოვე ბიძია ტიმოთე შეშას ხერხავდა.

ლიდა ახლა მას დაეხმარა. ნახერხი ახალ კაბაზე დაეყარა, მაგრამ რა უშავს — ნახერხიც ხომ სილასავითაა, ჩამოცვივდება და კვალს არ დასტოვებს!

მერე ლიდას დაუძახეს, დამალობანა ვითამაშოთო. ის ყველაზე უკეთ იმალებოდა — ხან ნახშირის გროვას ამოეფარებოდა, ხან შეშას. ახალი კაბა ცოტა არ იყოს დაიმტვერა. ამ დროს დიდმა ბიჭმა კოსტიამ შავი მოტოციკლეტი გამოიყვანა და შეკეთება დაუწყო. მან ის ნაწილებად დაშალა და ვის ქანჩი, ვის ზამბარა, ვის ხრახნი მისცა ხელში დასაკავებლად. ლიდას რაღაც მძიმე, გაზეთილი ნაწილი ერგო.

— ეგ ხომ დგუშია! — შეშურდა ვასიკოს, — ეგ ჩემთვის მოგეცა, მე დავიკავებდი.

— ვერ მოგართვეს! — მოიგერია იგი ლიდამ და დგუში უფრო მაგრად ჩაიხუტა გულში.

მერე კოსტიამ ყველაფერი ააწყო, ჩახრახნა და ლიდა უკან შემოისვა. მოტოციკლეტმა ჯერ ძაგძაგი დაიწყო, მერე ლურჯი ბოლი გამოუშვა და გაქანდა. კოსტია და ლიდა მალე გასცილდნენ ეზოს. უჰ, რა კარგი იყო! ბავშვები შურით შესცქეროდნენ ლიდას. ბედნიერი ლიდა ეზოში რომ დაბრუნდა, უცებ თვალი მოჰკრა წითურ კატას. საბრალო კოჭლობდა და ხმამაღლა კნაოდა.

ლიდამ მუხლებზე დაისვა კატა და თათი შეუხვია. მაგრამ ამ დროს დედის ძახილი მოესმა.

ლიდამ მუხლებიდან გადმოსვა კატა და სახლისაკენ ნელა წავიდა. როცა დედამ კარი გაუღო, მან ხელები დაიფარა ახალ კაბაზე, მაგრამ დედამ მაინც ყველაფერი შენიშნა.

— ამას რას ვხედავ! — შეჰყვირა დედამ,—ასე სად ამოიგანგლე? მოიცა, სწორედ ეგრე წაგიყვან ბებიასთან! დაე, გაიგოს, რა შვილიცა ბრძანდები!

აი, მივიდნენ ბებიასთან. დედამ, რასაკვირველია, მაშინვე ყველაფერი უამბო.

— ეს რა ბიქნია, ბებია გენაცვალოს, ახალ კაბას არ გაუფრთხილდი?

— გავუფრთხილდი, როგორ არა, — მიუგო ლიდამ, — არაფერი არ გამიკეთებია... მხოლოდ ნაზუქი გამოვაცხე, კუკუდამალობანა ვითამაშე, შეშა დავხერხე, მოტოციკლეტი შევაკეთე, კიდევ კატას ფეხი შევუხვიე... ამის მეტი არაფერი გამიკეთებია...

— არაფერი? — გაეცინა ბებიას და დანაოკებული ხელები ლიდას კაბას შეავლო. — მაშ კარგი, გაიხადე, მე გაგირეცხავ.

— რას ამბობ, ჩვენ თვითონ! — თქვა დედამ.

— ჩვენ თვითონ, ჩვენ თვითონ გავრეცხავთ! — გაიმეორა ლიდამაც.

როგორც კი სახლში დაბრუნდნენ, ლიდამ რახრახით მოათრია მძიმე ვარცლი და თქვა:

— მოდი, გავრეცხოთ.

და აი, ორივემ დაიწყო რეცხვა. ლიდა დედის მსგავსად საპნავდა, ჭეჭყავდა, წყალში ავლებდა, წურავდა. საპნიანმა წყალმა თითები დაუნაოჭა.

— დედა, შეხედე, რა ნაოჭები გამიჩნდა ბებიასავით.

დედამ დახედა ლიდას თითებს და უთხრა:

— წადი, დაიძინე!

როცა ლიდამ გამოიღვიძა, დაინახა, რომ დედა მის ლურჯ კაბას აუთოებდა.

— ადექი, შვილო, — მხიარულად უთხრა მან, — კაბა ისევ ახალს ჰგავს, ყველაფერი გამოშორდა. ახლა რა ვქნათ: სარაფანს ჩაიცვამ თუ ახალ კაბას?

ფეხშიშველა ლიდამ დედასთან მიირბინა, ჯერ უთოს შეხედა, მერე დედის ხელებს, ბოლოს თავის ფუნჩულა, უნაოჭო თითებს და თქვა:

— ჯობს სარაფანი ჩავიცვა. ახალ კაბას კი კვირას ჩავიცვამ, როცა ბებიასთან წავალთ.

გამოხუნებული სარაფანი ჩაიცვა და ეზოში გაიქცა ნაზუქების გამოსაცხობად, კატის მოსარჩენად და ძველი მოტოციკლეტის შესაკეთებლად.

თარგმნა მ. ახალაძემ

ა. ბლოკი

ნახატები ბ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღელი

კურდღელი მინდორში
ნავარდობდა მშვიდად,
თეთრი ყვავილები
მას სიხარულს ჰგვრიდა.

დადგა შემოდგომა,
მოეწყინათ კორდებს,
მჭკნარ ფოთლებზე დახტის
კურდღელი... და ჰგოდებს.

წვიმს, წვიმს, ავდარია
გულის შემზარავი,
კომბოსტო აიღეს,
არ ჩანს საპარავი.

სველ ფიქვთან კურდღელი
დაღვრემილი ხტუნავს,
შიშობს საცოდავი,
არ შეხვდეს მგელს მსუნაგს.

ნეტავ მდელო გაშრეს,
დადგეს კარგი დარი.
წყალში სიარული
რა რიგ ცუდი არის!

ნ. ჟილასონია

თარგმანი დ. საგარლისა

მეზობელა რუსიკო

იცნობს მთელი ქალაქი
ჩვენს რუსიკოს პატარას,
დაიწუნა კარაქი,—
პირი არ დააკარა!
რძეს გახედავს ცერადა,
განზე გასწევს ბულიონს,
მეზობელთან შევა და—
მომიტეხეთ პურიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირკა და პიმკა

ციმბირული ზღაპარი

ერთ სოფელში ორი ბიჭი ცხოვრობდა,—კირკა და პიმკა. ისინი განუყრელი მეგობრები იყვნენ. თუ კირკა ტაიგაში წავიდოდა, პიმკაც უკან მისდევდა; ერთი სიტყვით, სადაც კირკა იყო, პიმკაც უთუოდ იქ გაჩნდებოდა.

კირკა და პიმკა კარგი მონადირეები იყვნენ და ყველაზე მეტი ნანადირევი მათ მოჰქონდათ ხოლმე. ყველაფერში ბედი სწყალობდათ.

ერთხელ პიმკამ და კირკამ თხილამურები გაიკეთეს, გუდები წამოიკიდეს და სანადიროდ წავიდნენ.

იარეს, იარეს და ტაიგას მიადგნენ. ერთი გორაკის თავზე ღრუბელი დაინახეს.

— პიმკა, ღრუბელი ზღვისაკენ წავა, არა?—ჰკითხა კირკამ.

— არა, მე მგონი, ჩვენი სოფლისაკენ. —მიუგო პიმკამ.

— გეტყობა, თვალი არ გიჭრის!—გაბრაზდა კირკა.

— შენ თვითონ არ გიჭრის!—გაცხარდა პიმკაც.

— გუშინ პირველმა ვინ დაინახა სიასამური?

— ვინა და მე!

— როგორ არა გრცხვენია, პიმკა?

პიმკა მოიღუშა, გაბრაზებულმა მშვილდი ზურგზე გაისწორა და ტბისაკენ გაემართა.

— ჩვენ ხომ მდინარეზე უნდა წავსულიყავით?—მიაძახა გაკვირვებულმა კირკამ.

ნახატები გ. თოთიბაძისა

— შენ მდინარეზე წადი, მე კი ტბაზე წავალ. ვნახოთ ერთი, ვის უჭრის თვალი! —ჩაიბუტბუტა პიმკამ.

— ვნახოთ!—გაგულისდა კირკაც.

ისინი ერთმანეთს გაშორდნენ და სხვადასხვა გზით წავიდნენ.

კირკა მიდიოდა და გუნებაში ფიქრობდა: „რა ცუდი ყოფილა პიმკა, უმისოდაც მშვენივრად გავძლებ. მე ბევრად უფრო მიჭრის თვალი, ვიდრე მას, ისარსაც უფრო ზუსტად ვარტყამ მიზანში. ნანადირევით დაბრუნებულს რომ მნახავს, მაშინ რაღასა ბრძანებს?“

პიმკაც ასევე ფიქრობდა და ყველაფერში კირკას ამტყუნებდა.

პატარა მანძილი რომ გაიარეს, ორივემ უკან მიიხედა, აბა, პირველი რომელი ამოიღებს ხმასაო. მაგრამ ჯიუტობა ვერც ერთმა დასძლია, ვერც მეორემ და გზა განაგრძეს.

კირკა გორაკიდან რომ დაეშვა, თხი-

ლამურებით კუნძს წამოედო და თავით ნამქერში ჩაეფლო.

ამ დროს ბუჩქებიდან კურდღელი გამოხტა, კირკას წინ ჩაუცუცქდა, გრძელი ყურები შეაბარტყუნა და ნიშნისმოგებით ჩაიხითხითა:

— შე საწყალო მონადირევ,
ძირს ტყაპანი მოადინე?

კირკამ კურდღლის მოკვლა დააპირა, მაგრამ მშვილდ-ისარი თურმე თოვლში დაჰკარგოდა. ვიდრე კირკამ მშვილდ-ისარი იპოვა, კურდღელმა თავს უშველა.

კირკა რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. ამ დროს ხის ტოტიდან ციყვმა დაცინვით ჩამოსძახა:

— ნათლი, ნათლი! რას დადიხარ,
არ გაქვს სახლი?

— დამაცადე, მე შენ გიჩვენებ სეირს! — გაბრაზდა კირკა და მშვილდი მოიმარჯვა, მაგრამ ციყვი ხიდან გადმოეშვა, კირკას ქუდზე დაახტა და შიგ მოიკალათა. ვიდრე ბიჭი ხელს წაატანდა, ციყვმა ქუდი ერთი მაგრად უთაქა და ისევ ხეზე ახტა.

კირკამ ცალ მუხლზე დაიჩოქა და ციყვს ისარი სტყორცნა.

ეს რა დაემართა? ისარმა გაიზუზუნა, მაგრამ ციყვი ხეზე კვლავ არხეინად იჯდა და სიცილით კვდებოდა.

კირკა თავისთავზე გაბრაზდა: „ტყუილ-უბრალოდ გამოვიდე თავი პიმკასთან, მართლაც არ მიჭრის თვალი. პიმკა ყოჩაღია, ყველაფერი ეხერხება; იმის დაგებულ მახეს თითქოს თვითონ ეტანება სიასამური, კურდღელსაც ხომ მაინცდამაინც იმის გასროლილი ისარი უნდა მოხვდეს. არა, პიმკას ნამდვილად ვუყვარვარ. ავად რომ ვიყავი, რამდენჯერ მოუტანია ჩემთვის სელაპის ქონი. ზაფხულში გაცოფებულ ფოცხვერს გადამარჩინა. მოდი დავუძახებ!“

კირკამ ხელები პირთან მიიტანა, რომ ამხანაგისათვის ხმა მიეწვდინა, მაგრამ მერე თავი შეიკავა: „პატარა ხანს დავიცდი, პიმკაც ხომ დამნაშავეა ჩემთან, იქნებ პირველმა მან დამიძახოს“. მაგრამ პიმკას ხმა არ ისმოდა.

— მეც კი გავჩუმდები! — გაიფიქრა კირკამ და გზა განაგრძო.

ცოტა იარა თუ ბევრი, უცბად თვალი მოჰკრა ბანჯგვლიან დათვს, რომელიც წაქცეულ სოჭზე შემდგარიყო და თვალებს იფშვნეტდა.

კირკას გაეხარდა: ამ დათვს მოვკლავ და ჩემს სოფელში ერთი ზეიმი შეიქნება,

ჩვენებურები შემაქებენ, იტყვიან: პიმკას აჯობაო.

დათვმა გაჯავრებით შეხედა კირკას და უთხრა:

— ეს ტაიგა სულ ჩემია,
გამეცალე გირჩევნია!

— მე შენი ტყავი და გემრიელი ხორცი მინდა.—უპასუხა კირკამ, მშვილდი მოზიდა, მაგრამ უცბად ხელები აუკანკალდა და გულში დამიზნებული ისარი დათვს თათში მოახვედრა. დათვი აღრიალდა და კირკასაკენ გამოექანა. რა ექნა კირკას, მეორე ისრის მოძებნის დრო აღარ ჰქონდა და ისევ დაიძახა:

— მიშველე, პიმკა!

მაგრამ პიმკა არსად ჩანდა. დათვმა კირკას ხელიდან ისარი გამოსტაცა და მძიმე ტორი თავში ჩაჰკრა. მერე რა მოხდა, კირკას აღარ ახსოვს, რადგან თვალთ დაუბნელდა და წაიქცა. თვალები რომ გაახილა, ბანჯგვლიანი დათვი ძველებურად ბურტყუნებდა:

— წადი ჩემი ტაიგიდან და კვეხნასაც თავი დაანებე!

რაღა უნდა ეთქვა კირკას? მშვილდ-ისარი გადამტვრეული ჰქონდა, თავი სტკიოდა, ხელ-ფეხიც სტეხდა,—რა მძიმე ტორი ჰქონია დათვსა! კირკა ძლივძლივობით შედგა თხილამურებზე და სოფლისაკენ წალასლასდა.

ტაიგიდან რომ გამოვიდა, დაინახა პიმკაც კოჭლობით მოჩანჩალებდა სოფლისაკენ. ტანისამოსი იმასაც შემოხეული ჰქონდა, ხელში გადამტვრეული ისრები ეჭირა და ზურგზეც ცარიელი ჩანთა ეკიდა.

კირკამ ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

— პიმკა, რა დაგემართა?

— დათვმა ტაიგიდან გამომაგდო, კურდღელმა მასხარად ამიგდო, ციყვი თავზეც კი დამახტა.—უპასუხა პიმკამ.

— მეც გამომაგდო დათვმა ტაიგიდან, კურდღელმა და ციყვმა მეც მასხარად ამიგდეს.— შესჩივლა კირკამაც მეგობარს.

— არა, კირკა, ეტყობა, უშენოდ ვერ გამოვდგები მონადირედ!

— ვერც მე ვივარგებ უშენოდ.—უთხრა კირკამ.

— მაშ ხვალ ერთად წავიდეთ ტაიგაში.

— წავიდეთ, პიმკა!

— აღარ ვიჩხუბებთ?

— არა, პიმკა, არა!

მეგობრებმა ერთმანეთს მხიარულად შეხედეს და გაიცინეს. ღრუბელი კი ისევ გორაკის თავზე იდგა. არსაით წასულიყო, არც სოფლისაკენ და არც ზღვისაკენ.

მაშ რიღასთვის იჩხუბეს კირკამ და პიმკამ?!

თარგმანი ფ. ქახიანისა

ბ. იმედაძე

ნახატები ბ. როინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომარიკოს ფეხსაცმელი

წითელი თუ შინდისფერი,
ან როგორი ფერიც უნდა,
სულ ახალი ფეხსაცმელი
ომარისთვის მოაქვთ მუდამ.

მაგრამ ფეხზე თავისთავად
ჩაიცმება იგი განა?!
ქუსლი ისე მოაქცია,
რომ ძველთაძველს დაამგვანა.

თავს იმართლებს, თითქოს მართლა
შესაბნევის ბრალი იყოს.
ყელიანებს ითხოვს ახლა,
ლამის ყველა დაიბრიყვოს.

მოუტანეს,—რა გზა არის,—
ფეხსაცმელი ყელიანი.
გაუხარდა, კარებს ეცა,
მოირბინა ლელიანი.

მესამე დღეს ადრიანად
დადგა დიდი სარკის წინა.
თვალი გადააბრიალა,
ჩაიღიმა, ჩაიცინა.

გაიკეთა ყელსახვევი,
ხელი აჰკრა ქოჩორს ფრთხილა
მაგრამ, დახეთ, ფეხსაცმელი
ისევ ისე მოღრეცილა.

და ახლა ჩვენს ომარიკოს
სურს ისეთი ფეხსაცმელი,
შესაბნევი რომ არ იყოს,
რომ არ იყოს შესახსნელი.

დაიხსომე, ომარიკო,
თუ ამ რჩევამ ვერ გიშველა,
კოხტად ჩაცმა დაისწავლე,
ან იარე ფეხშიშველა.

თ. კეპრიკაძე

ახალ-ახალი რვეულები

თოვლივით თეთრი ქაღალდი
დაენანება განა მას!
ყოველდღე ახალ-ახალი
რვეული უნდა მანანას.



დღეს შეეშლება, ხვალ კიდევ
,,მინდორს'' შემთხვევით გასცდება
არ დაელევა მიზეზი
რვეულის გამოსაცვლელად.

დაჯდება, წერას დაიწყებს:
,,ოცს მივუმატოთ სამოცი''...
გაეთხუბნება სადმე და
იმწამსვე რვეულს გამოცვლის.

რ. ინანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკერავი მანქანა

თათუნიას ბევრი რამ უყვარს, მაგრამ ყველაფერს ბებიას საკერავი მანქანა ურჩევნია. როგორც კი მის გუგუნს გაიგებს, იმ წამსვე მოირბენს, სკამზე ახოხდება და ეხვეწება:

— მე დავატრიალებ, ბებო! მე დავატრიალებ!

ატრიალებს, ატრიალებს და არა სწყინდება.

ერთხელ თათუნია და ბებია ასე საუბრობდნენ:

— ბებო, მამიდას რომ წითელი კაბა აქვს, მე უნდა მაჩუქოს, როცა დაუპატარავდება. ძალიან უნდა მაჩუქოს ვარდისფერი კაბა...

ცოტა ხანს ჩუმად არის, მერე ფრთხილად სთხოვს:

— შენც ხომ მაჩუქებ ამ მანქანას, როცა დაგიპატარავდება?

საქმით გართული ბებია-დაუფიქრებლად მიუგებს:

— ჰო, შვილო!

თათუნია სიხარულით ხტის.

იმ დღის შემდეგ, როდესაც ამხანაგები ეწვევიან, ყველა სათითაოდ მიჰყავს მანქანასთან და ამაყად ეუბნება:

— ბებოს ეს მანქანა რომ დაუპატარავდება, მე უნდა მაჩუქოს.

ო. მერაბიშვილი

თვითონ არვის აჩუქებს

ბურთი, ცხენი, კურდღელი,
ბანჯგვლიანი დათუნა,
კუზიანი აქლემი,
დედოფალა ხათუნა,
გაიძვერა მელია,
ჩიტს რომ დამუქრებია,
ყველა, რაც ჩამოვთვალეთ,
ლიას საჩუქრებია.
რაც კი მოეწონება,
აქუჩებს და აქუჩებს.
ყველამ მე მაჩუქეთო,
თვითონ არვის აჩუქებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჩხეიძე

ნახატები გ. ჩირინაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა.

ბაღში ვაშლისა და კომშის ხეები იდგა და ბატრონს დიდ მოსავალს აძლევდა. დახუნძლული ტოტები ფესვებამდე ჰქონდათ დახრილი. მაგრამ ვერ გაარჩევდით, რომელი იყო ვაშლი, რომელი კომში. ხეებს ერთნაირი მოუვანილობის, ბამბასავით თეთრი ნაყოფი ესხა.

ერთსულ ბაღში ბავშვები შეეიდნენ, მოწყვიტეს ნაყოფი, ჩაკბიჩეს.

— რა ტკბილია!

— შაქარივით ტკბილია!

შესძახეს აღტაცებით ბავშვებმა.

ამ ქებით გახარებულ ნაყოფს, რომელიც თურმე ვაშლი იყო, ლოცვა შეუწყვეტლდა.

მალე ბავშვები მეორე ხეს მიადგნენ. ამ ხის ნაყოფმა მათ კბილები მოჭკვეთა.

— მჟავეა!

— მახრჩობელაა!

კვლავ წამოიძახეს ბავშვებმა.

კომშმაც გაიგონა და სირცხვილით ყვითელმა ფერმა გადაუარა.

მას შემდეგ ვაშლი ცალ გვერდზე წითელია, კომში კი მთლად ყვითელი.

ლ. იმნაძე

მერაბმა პურის საჭრელი დანა იმდენ ხანს ატრიალა, სანამ თითი არ გაიჭრა.

— არ იცი, რომ დანით თამაში არ შეიძლება?—დატუქსა დედამ.

— მე მეგონა, პურის დანა მარტო პურსა ჭრიდა.—მიუგო მერაბმა.

პატარა ნინო ბაბუას შეეხვეწა, ზამთრისთვის ციგა გამიკეთეო.

— ბიჭი ხომ არა ხარ, ციგით სრიალი არ შეიძლება.—უთხრა ბაბუამ.

— შეიძლება, ბაბუ, შეიძლება. ახლა გოგოები და ბიჭები ერთად ვსწავლობთ!

გაუხედნავი ხოჯო

დათოს ხოჯოსი შეეშინდა, სკამიდან გადახტა და გაიქცა.

— რა მშიშარა ყოფილხარ!—შეარცხვინა ძმამ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეზოში კვიცი გამოვარდა, ძმას შეეშინდა და მოჰკურცხლა.

— აბა, შენ რატომღა შეგეშინდა?—ჰკითხა დათომ.

— იმიტომ, რომ კვიცი გაუხედნავია.—მიუგო ძმამ.

— განა ის ხოჯო კი გახედნილი იყო?—სიტყვა მოუჭრა დათომ.

კურდღელი გომბეშო

ხალხური

მონადირის ძაღლებმა ტყიდან კურდღელი გამოახტუნეს და უკან გამოუდგნენ. ის-ის იყო უნდა დაეჭირათ გულგახეთქილი კურდღელი, რომ იგი უეცრად სოროს წაწყდა, შიგ ჩაძვრა და ამით თავს უშველა. სოროში აფხუკულ გომბეშოს მოჰკრა თვალი.

გომბეშომ ჰკითხა: — რამ დაგაფეთა, კურდღელო?

— როგორ თუ რამ დამაფეთა. ძაღლებმა კინალამ დამგლიჯეს.

გომბეშომ ამოიოხრა და უთხრა: — რა უბედურება არის, მე და შენ მონადირეები და ძაღლები რომ გვდევნიან.

— ნეტავ შენ არ გამტოლებოდი და ძაღლებს დავეგლიჯე.—უპასუხა კურდღელმა.

დამუშავებული **თამარ ოქროშიძის** მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

6.68/1

რაც მოგვივა, დავითაო...

შეადგინა ვ. ნაეკროზაშვილმა

მხატვარი ა. კანდელაკი



1



2



3



4





5



6